საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს
პროფესიული განვითარების საბჭოს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

საქართველოს კარდიოვასკულური და ინტერვენციული რადიოლოგიის ასოციაციამ (სკირა) რეცენზირების მიზნით განიხილა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) თემაზე: **ოსტეოიდ ოსტეომის მცირეინვაზიური, ინტერვენციული მკურნალობა რადიოსიხშირული აბლაციის მეთოდით.** პროტოკოლის მიზანს წარმოადგენს მცირეინვაზიური, ინტერვენციული მეთოდის - რადიოსიხშირული აბლაციის მეთოდის დანერგვა საქართველოში ოსტეოიდ ოსტეომის მართვის ხარისხისა და კლინიკური გამოსავლების გაუმჯობესების მიზნით.

პროტოკოლი შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ: ზაზა ლაზარაშვილი - მედიცინის აკადემიური დოქტორი, ანგიოქირურგიის, ანგიოლოგიის, ფლებოლოგიის სპეციალისტი, ნიკოლოზ ონაშვილი - ასოცირებული პროფესორი, რადიოლოგი, მიხეილ ჯანჯალია - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პროფესორი, ა(ა)იპ „ალიანსი კიბოს წინააღმდეგ"- თავმჯდომარე; გინეკოლოგიური ონკოლოგიის ევროპული საზოგადოების (ESGO-ის) წევრი, ამერიკის სამედიცინო ონკოლოგთა ასოციაციის (ASCO-ის) წევრი.

პროტოკოლი განკუთვნილია იმ ექიმი-სპეციალისტებისთვის, რომლებსაც შეხება აქვთ ოსტეოიდ ოსტეომის დიაგნოსტირების, მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის (ორთოპედ-ტრავმატოლოგები, ონკოლოგები, რადიოლოგები) და რადიოლოგიური გამოსახვის მეთოდებით განხორციელებული სამკურნალო ინტერვენციების ჩატარების პროცესთან (ინტერვენციულ მედიცინასთან ასოცირებული დარგები, როგორებიცაა რადიოლოგია და ენდოვასკულარული ქირურგია).

საქართველოს კარდიოვასკულური და ინტერვენციული რადიოლოგიის ასოციაცია (სკირა) წარმოდგენილ პროტოკოლს რეკომენდაციას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე.

მ.მიზანდარი
სკირა-ს პრეზიდენტი
მ.მ.დ., თსსუ-ის პროფესორი